

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ შპს „ფაზისი ენერჯი და იენიგუნი“ კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. მტკვარზე გეგმავს 35.64 მგვტ დადგმული სიმძლავრის კალაპოტური ტიპის „მეტეხი ჰესი“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ მეტეხი ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით გაცემული იყო N133 სკოპინგის დასკვნა (18.12.2019 წელ.), მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოხერხდა ჰესის საპროექტო არეალში სამშენებლო პროექტის მომზადებისათვის საჭირო კვლევების დამთავრება, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა ვერ მოდა დადგენილ ვადებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-50 (27.01.2022) ბრძანებით სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცხადდა ძალადაკარგულად.

წარმოგიდგენთ მეტეხი ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს დასკვნას.

წერილს თან ერთვის:

- მეტეხი ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და დაგეგმილი საქმიანობს განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატები SHP ფაილების სახით CD დისკზე;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ფაზისი ენერჯი და იენიგუნი“ რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით,

მოგელი ტყეებუჩავა

შპს „ფაზისი ენერჯი და იენიგუნი“-ს დირექტორი

